პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 2 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

23 (1018)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ტელეფონი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. ბოლ. 4 გვ. 40 კ.

## მდგომარეობა გერმანიაში.

გერმანიიდან მოსული ცნობები ცხადყოფენ იმ მდგომარეობას, რომ გერმანიის ხალხი ახალ დიდმნიშვნელოვან რევოლიუციონური ამბების წინაშე სდგას. გერმანიის მთავრობის ხანგრძლივი კრიზისი დიდის ვაივაგლახით დასრულდა ამ დღეებში. ძველი ნაცნობის ლიუტერის მთავრობა, რომლის დამსახურება იმაშია, რომ გერმანიის მუშათა კლასს დაადვა კისერზე ამერიკა-ინგლისის კაპიტალის უღელი, თითქმის არავის არ აკმაყოფილებს, არც მემარცხენეებს და არც სოციალ-დემოკრატებს. გერმანიის სუსტი მთავრობა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიური არევ-დარევის გამოხატულებაა.

„ქებულ დოუესის გეგმის" შედეგები დღითი დღე ემჩნევა გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებას.

მემარჯვენე პარტიები—ნაციონალისტები და ტევტონელები,—უკმაყოფილო მთავრობის გაურკვეველი, სუსტი პოლიტიკით, რომელიც ეყრდნობა საშუალო პარტიებს,—უკვე აღარ მალავს თავის შავ ზრახვებს. აქ აშკარად სწარმოებს მონარქისტული, რეაქციონური ძალების მობილიზაცია.

მაგრამ ამის საწინააღმდეგო მზადება სწარმოებს მეორე მხრიდანაც. ახალმა ტალღებმა გამოაღვიძეს გერმანიის მუშათა კლასი. მონარქისტული საშიშროების საფრთხე უკვე უდაოა გერმანიის მუშათა კლასისათვის. უმუშევრობის წარმოუდგენელი ზრდა და მონარქისტული საფრთხე სოციალ-დემოკრატიულ მუშებს უკარნახებს იქონიონ მჭიდრო და მთლიანი ფრონტი კომუნისტ-მუშებთან. კომუნისტების მიერ გამართულ კამპანიამ გოგენცოლერნებისაგან (ყოფილი მეფის გვარი) ქონების უფასოდ ჩამორთმევის შესახებ, ფართო ხასიათი მიიღო. გერმანიის ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები ამ საკითხებთან დაკავშირებით სათანადო მასიური დემონსტრაციების შესახებ. უფასოდ ჩამორთმევის იდეა ისე პოპულიარულია მუშათა კლასში, რომ თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმაც კი აღიარეს მისი, ე. ი. უფასოდ ჩამორთმევის საჭიროება, რომლებიც წარსულში ამის წინააღმდეგი იყვნენ.

ამ რიგად ჩვენს თვალწინ გერმანიაში სწარმოებს ორი მოსისხლე მტრის სამზადისი უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლისათვის და რომ სრული გამარჯვება ამ ბრძოლაში წილად ხვდება გერმანიის პროლეტარიატს ჩვენ ამაში სრული დარწმუნებული ვართ, რადგან გერმანიის პროლეტარიატს გათვალისწინებული აქვს წარსული გაკვეთილები და მოწინააღმდეგის ძალები.

## უნგრეთის მთავრობის გადადგომა აუცილებელია

უნგრეთის სოციალ-დემოკრატების გაზეთი ბრალს სდებს მთავრობას ყალბი ფულის დამზადების საქმეში, რასაც ამტკიცებს მთელი რიგი საბუთებით.

თუმცა მთავრობის პარტიამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში მაინც აღნიშნავენ, რომ აუცილებელია მთავრობის გადადგომა, როგორც კი გაათავებს თავის მუშაობას ყალბი ფულის მკვლელთა კომისია.

## „ყველაზე უბედური ქვეყანა ევროპაში"

რუმინეთის მდგომარეობის შესახებ იტალიის ერთი გაზეთის კორესპონდენტი სწერს:

„ბესარაბია ამ ჟამად წარმოადგენს უბედურ ქვეყანას ევროპაში. რუმინელებმა რომ კენჭის ყრა მოახდინონ, ვერ უზრუნველყოფენ თავისთვის უმეტესობას, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა უმეტესობა ეკუთვნის რუმინეთის ერებს".

## ამერიკა მონაწილეობას მიიღებს განიარაღების კონფერენციაში

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აცნობა ერთა ლიგას, რომ ის მიიღებს მონაწილეობას განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე.

# ახალი რადიო ამბები

## იაპონიის ბატონობის წინააღმდეგ

კანტონში გაიმართა დიდი დემონსტრაცია იაპონიის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობდა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კანტონის გარნიზონი.

დემონსტრაციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ილაშქრებს იაპონიის ბატონობის წინააღმდეგ და მოუწოდებს ხალხს განაგრძონ ბრძოლა ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ.

## პროლეტარიატის ბელადების საპატივცემო მიტინგები კანტონში.

კანტონის უნივერსიტეტში გაიმართა დიდი მიტინგი ლენინის გარდაცვალების ორი წლის თავის გამო და ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად. დარბაზი იყო მორთული პლაკატებით და ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ლენინიზმს!"

საღამოს ქალაქში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

## უმუშევრობა პოლონეთში

პოლონეთში უმუშევართა რიცხვი ამ უკანასკნელ დროს ჩქარი ნაბიჯით იზრდება. 24 იანვრისთვის ეს რიცხვი ავიდა 355.000-ზე.

## პოლონეთის სეიმის დელეგაციის წერილი.

პოლონეთის სეიმის დელეგაციის თავმჯდომარემ ბრილმა, რომელიც დაბრუნდა პოლონეთში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, გამოგზავნა უკრაინის ცაკის თავმჯდომარის პეტროვსკის სახელზე დეპეშა, რომელშიაც დელეგაციის სახელით მადლობას უცხადებს უკრაინის მთავრობას იმ სტუმართმოყვარეობისა და პირობებისათვის, რამაც საშუალება მისცა დელეგაციას პირისპირ გაცნობოდა საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას. დელეგაცია გულითად სალამს უძღვნის უკრაინის ყველა მშრომელებს.

## „კომუნისტური პროპაგანდისათვის".

ბელგრადში შესწყდა ხორვატიის გლეხთა კავშირის გაზეთის „პლუგ"-ის (გუთანი) გამოცემა.

დააპატიმრეს გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი ვითომდა კომუნისტური პროპაგანდის წარმოებისთვის.

# საბჭოთა კავშირში

## შეღავათები შვებულ წითელ არმიელებს

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, წითელი არმიიდან უვადო შვებულებაში წასული პირები სამუშაოზე მიიღებიან პროფკავშირთა წევრების თანასწორად, კერძოთ იმ შემთხვევებში, როცა კოლექტიური ხელშეკრულების მიერ გათვალისწინებულია პროკავშირის წევრთა უპირატესობა სამსახურში მიღების დროს.

დამქირავებელს არა აქვს უფლება წითელ არმიიდან შვებულებაში წასულს წარუდგინოს კვალიფიკაციის მოთხოვნილება დაბალი თანამდებობაზე მიღების დროს ყველა დაწესებულებას და წარმოებებში და აგრეთვე შავი მუშის ადგილზე მიღების დროსაც.

## მიმართვა

**ამხ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრ. სახლის ასაშენებელ საშუალებათა შემკრებ კომისიისა.**

წითელი არმიის უდროოდ დაღუპულ ბელადის მ. ვ. ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ დაადგინა ააგოს მოსკოვში ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალური სახლი.

წითელი არმიის სახლი უნდა გახდეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-სამეცნიერო და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მსხვილი ცენტრი. მან უნდა დააგროვოს მთელი გამოცდილება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის თანამედროვე აღმშენებლობის საქმეში, რომელსაც მთელი თავისი ენერგია შესწირა მუშურ-გლეხური წითელი არმიის განსვენებულმა ბელადმა.

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს გარდაცვალებამ ფართე გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა შორის. მისი ხსოვნა ძვირფასია არა მარტო წითელი არმიისთვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთათვის. ეს ხსოვნა უკვდავყოფილ უნდა იქნას წითელი არმიის ცენტრალური სახლის აშენებით.

ეს მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანა ასრულებულ უნდა იქნას მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელ არმიელებისა და პოლიტმომუშავეების მიერ მთელი კავშირისა და კერძოდ ამიერკავკასიის მშრომელთა დახმარებით.

ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალურ სახლისთვის საშუალებათა შემკრები კ. წ. ღ. არმიის კომისია მოუწოდებს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ყველა ორგანიზაციებს ასაგებ ფონდის შექმნაში.

შეთანხმებული ღონისძიებებით განვახორციელოთ მიხ. ვასილის ძე ფრუნზეს სურვილი და შევქმნად მისი სახელობის სამხედრო-სამეცნიერო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ცენტრი.

მიხ. ვასილის ძე ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალური სახლის ასაგებად შემოწირული ფული, რომელიც შემოვა ორგანიზაციის განკარგულებაში, კომისია სთხოვს დაუყონებლივ შეტანილ იქნას ადგილობრივ ბანკების განყოფილებაში შემდეგ ანგარიშებზე: სახელმწიფო ბანკში—მიმდინარე ანგარიშზე—№ 7034; ვაჭრობა მრეწველობის ბანკში მიმდინარე ანგარიშზე № 1890, სრულიად კავშირის საკოოპერაციო ბანკში—მიმდინარე ანგარიშზე—1200.

კომისია.

## სამხედრო განყოფილებები სამოქალაქო ჟურნალ-გაზეთებში

სამხედრო მშენებლობის საკითხის უკეთ გასაშუქებლად პარტიულ საბჭოთა პრესაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ აუცილებლად სცნო სამხედრო განყოფილებების შემოღება ყველა გაზეთებსა და მასიურ ჟურნალებში.

ამ განყოფილებამ უნდა გააშუქოს, თუ რამდენად აუცილებელია მთელი მოსახლეობის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მშენებლობაში, მორიგი სამხედრო ამოცანები და მოსახლეობის სამხედრო გაწვრთნის ყველა მხარეები.

პრესაში სამხედრო მშენებლობის საკითხების გამშუქებელ მუშაობის სათანადოთ დასაყენებლად, საგუბერნიო კომიტეტების ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებებთან უნდა გაიმართოს საგუბერნიო კომიტეტის და ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თათბირები.

# არმიის მე-4 პარტიული კონფერენცია.

მე-4 დღე

## მოხსენებები ყრილობის ანგარიშისა და პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ

კონფერენციამ უკვე მოისმინა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობის ანგარიშების შესახებ და ამხ. რატნეკის — არმიის პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობის შესახებ.

კონფერენცია ერთსულოვნად მიმდინარეობს.

ამხ. რატნეკი დაწვრილებით შეეხო არმიის მუშაობის მრავალ მხარეს, აღნიშნა მიღწევები და ნაკლულევანებანი და დასახა გზები ამ მუშაობის გაძლიერებლად და ნაკლთა გამოსასწორებლად.

### კონფერენციის პრეზიდიუმი.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, ელიავა, კარაევი, ლუკაშინი, რატნეკი, ზალუცკი, ცულმინი, ლევანდოვსკი, ოსეპიანი, სტელმახი, პავლოვი, რიაბოვი, კახიანი, სვანიძე, ამატუნი, გრადოვი, საფრაზბეკოვი, მელიკოვი, კვირიკაძე შესტაკოვი, ნიკოლაევი, მარქაროვი, შესტაკოვი, ჩაიკოვსკი, მოკშინი, გრიშენკოვი, ჩახუნაშვილი.

კონფერენციამ გაუგზავნა მისალმების დეპეშა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

კონფერენციის დილის სხდომაზე ამხ. ორჯონიკიძემ უპასუხა შეკითხვებზე..

ამხ. ორჯონიკიძეს მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

### რეზოლიუცია ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო.

მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობის ანგარიშისა და პარტიის მორიგი მუშაობის შესახებ, არმიის მეოთხე პარტიულ კონფერენციამ მოიწონა ყრილობის ყველა გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია ყველა დარგის მუშაობის შემდეგი განმტკიცებისა და განვითარებისაკენ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში.

კონფერენცია გადაჭრით მოუწოდებს პარტიის ბოლშევიკურ, ლენინურ ურყევ მთლიანობისაკენ, რომელიც არის პროლეტარული დიქტატურის სიმტკიცის საუკეთესო თავდები და ერთსულოვნად ჰკიცხავს ყოველგვარ ცდას, რომელსაც კი შეუძლია გამოიწვიოს ამ მთლიანობის შესუსტება და დარღვევა.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ პარტია ლენინურ ცენტრ. კომიტეტის ხელმძღვანელობით შესძლებს ყველა იმ დაბრკოლებათა გადალახვას, რომელიც ელობება მას წინ და მუშათა კლასის, სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით მიიყვანს ჩვენს ქვეყანას სოციალიზმამდი.

შეეხო რა ყრილობების გადაწყვეტილებებს წითელი არმიისა და წითელი ფლოტის შემდეგი გაძლიერების საქმეში, კონფერენცია მოუწოდებს არმიის პარტორგანიზაციებს გააღრმაონ მუშაობა ამ მიმართულებით. გადადის რა თავის პრაქტიკულ მუშაობაზე, კონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ის შესძლებს ყველა ამოცანების ლენინურად გადაჭრას.

გაუმარჯოს ჩვენი ბოლშევიკური რიგების ფოლადისებურ მთლიანობას! გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის მოხსენება პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ.

### ამხ. რატნეკის მოხსენება.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი.

ეხება რა არმიის მატერიალურ (ნივთიერ) მდგომარეობის საერთო გაძლიერებას, ამხ. რატნეკი აღნიშნავს, რომ არმიის პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა საკმაოდ ჯანსაღია.

საბრძოლო მომზადება შეუდრეკლად მიდის წინ. გაძლიერდა მუშაობა ეროვნულ დივიზიებში. ჩვენი არმია წარმოადგენს მთლიანს, მჭიდროდ შეკავშირებულ ორგანიზმს. ამჟამად დაწყებულია მშრომელთა სამხედრო მომზადების საკითხის გამომუშავება. ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას სამოქალაქო ორგანიზაციები, მაგრამ აქ კიდევ დიდი მუშაობა გვიდგას წინ.

საინსპექტორო სროლამ და მანევრებმა დაგვანახეს მიღწევები ჩვენი საბრძოლო მომზადებისა და მსროლელის ინდივიდუალურ მომზადების საქმეში.

საერთოდ სამხედრო მომზადების საკითხებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა პარტიულ ორგანიზაციებმა, ვინემ დღემდის.

ჩერდება რა ქვევით დისციპლინისა და ერთუფროსობის საკითხებზე და აღნიშნავს რა ჩვენ მიღწევებს ამ საქმეში, ამხ. რატნეკი გადადის პარტორგანიზაციების ადგილსა და როლზე წითელ არმიაში და მოჰყავს ციფრების მთელი რიგი პარტორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ კავკასიის წითელ დროშოვან არმიაში.

ჩვენი პარტორგანიზაციების მთავარ მიღწევებად საანგარიშო პერიოდში ითვლება: 1) პარტორგანიზაციების ძირა ქსელის გაძლიერება, მუშაობის უნარიან პარტიული ბირთვის შექმნა ასეულში, 2) ჩვენ შევადგინეთ აქტივი, მაგრამ ასეულის აქტივი ჩვენში ვერაა ჯერ საკმაო ძლიერი, 3) ჩამოყალიბდა და განმტკიცდა კომკავშირის ჯგუფები. კომკავშირში დისციპლინა განმტკიცდა. მაგრამ საჭიროა მაინც დიდი ყურადღება მიექცეს კომკავშირის მუშაობას.

აღნიშნავს რა, რომ წასულ დისკუსიების საკითხებზე ჩვენი პარტია საგრძნობლად გაიზარდა, ამხ. რატნეკი ამბობს, რომ ჩვენი დღევანდელი ამოცანაა — რაც შეიძლება უკეთ დავამუშაოთ პარტიის უკანასკნელ ყრილობის საკითხები, განსაკუთრებით გლეხთა საკითხები.

გადადის რა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხებზე, ამხ. რატნეკი ჩერდება პარტგანათლების, პოლიტმეცადინეობის, სკოლის გარეშე მუშაობის და პრესის საკითხზე და აღნიშნავს, რომ მუშაობის ყველა დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევები. გვაქვს ნაკლიც, მაგალითად, საკლუბო მუშაობაში, ლენინის კუთხეების მუშაობაში, პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ სდგანან საკმაოდ ახლოს სამხედრო სემეცნიერო საზოგადოების მუშაობასთან და სხვა. ყველა ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნას.

(შემდეგი იქნება).

# პირველი ქართულ მსროლელ დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია

### ამხ. იაგნეტინსკის მოხსენება.

23 იანვარს საღამოს სხდომაზე ა. კ. ს. ფ. ს. რ. სამხედრო და საზღვაო ინსპექციის მუშაობის შესახებ ინფორმაციულ მოხსენებას აკეთებს ამხ. იაგნეტინსკი, რომელიც ეხება ინსპექციის მუშაობის ამოცანებს და მის მიერ გატარებულ მუშაობას. მოხსენების გათავების შემდეგ დიდი აღფრთოვანებით კონფერენცია ეგებება მესამე ლეგიონის თავს

### ამხ. კუპრაშვილს,

რომელიც დივიზიის უპარტიო მეთაურთა სახელით ესალმება პარტ-კონფერენციას.

„ამხანაგებო, — იწყებს თავის სიტყვას ამხ. კუპრაშვილი, — ნება მომეცით უპარტიო მეთაურთა სახელით მოგესალმოთ თქვენ და გისურვოთ მიზანშეწონილად და ნაყოფიერად ჩაატაროთ თქვენი კონფერენციის მუშაობა. დღეს, როდესაც ჩვენ უპარტიო ამხანაგები ვმსახურობთ ჯარის რიგებში, დღეს ჩვენ თავს ვთვლით პარტიულებად. უპარტიო მეთაურთა სახელით ვღიარებთ თქვენ წინაშე, რომ, ჩვენ შორის არის მხოლოდ ერთი განსხვავება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ თქვენ, პარტიულები, როგორც მეტი მომზადებულნი პოლიტიკურ დარგში ხართ წინამძღოლი და ჩვენ მოგყვებით თქვენ. თქვენ გწამთ, რომ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს კომუნისტური პარტია მუშათა კლასს და ამ მხრივ თქვენს და ჩვენს შორის განსხვავება არ არის. თქვენ გწამთ, რომ ბრძოლის ველზე პირველი ცეცხლის ალი მოედება კაპიტალისტურ წესწყობილებას არა ყუმბარების და ტყვიამფრქვევლების საშვალებით, არამედ თავისივე ქვეყნის მუშათა კლასისგან და ამ გამარჯვებას ჩვენც ვიზიარებთ და გავიხარებთ თქვენთან ერთად.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის მედგარ მებრძოლს წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!"

(ამხ. კუპრაშვილის სიტყვები იფარება მქუხარე ტაშით.)

ამის შემდეგ კონფერენციას უპარტიო წითელარმიელთა სახელით ესალმება ცალკე საკავშირო ასეულის წითელარმიელი

### ამხ. კალანდაძე,

რომელმაც სთქვა: „საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა კლასის და გლეხობის მჭიდრო კავშირის საშვალებით და კომპარტიის ხელმძღვანელობით გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ. კომპარტიის აქტიურ ხელმძღვანელობით რუსეთში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელიც წინამძღოლი უნდა გახდეს მსოფლიო რევოლიუციისათვის. პირველ ქართულ საკავშირო ასეულის წითელარმიელთა სახელით მე მივესალმები თქვენს მუშაობას და გამოვთქვამ სურვილს, რათა თქვენი მუშაობა შეექნეს აგურად, რომლითაც შენდება სოციალისტური სახელმწიფო. (მხურვალე ტაში).

საპასუხო სიტყვით კონფერენციის სახელით გამოდის

### ამხ. კვირიკაძე,

რომელიც ამბობს: „ჩვენ ამ კონფერენციაზე მოვისმინეთ უპარტიო ამხანაგების მისასალმებელი სიტყვები. უპარტიო შემადგენლობა დღეს ის არ არის, რაც იყო 1921 წელში. ჩვენ გვქონია პარტკონფერენციები 1921, 1922, 1923, 1924 წლებში, რომელზედაც ასეთ მისალმებას არ ქონდა ადგილი. იმ დროს უპშემადგენლობაში რყევა იყო, იმ დროს იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ კომუნისტური პარტია ვერ შესძლებდა ასეთ დიად სახელმწიფოს მართველობას, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა კავშირი. მაგრამ კომპარტიამ თავის საქმიანობით დაუმტკიცა ყველას, რომ მან შესძლო თავის მიზნების განხორციელება. ამის დამამტკიცებელი არის ის, რომ დღეს ჩვენ გვესალმებიან უპარტიო ამხანაგები. ეს არის ჩვენ პარტიის დაფასება. დღეს ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ უპარტიონი ჩვენთან არიან და ჩვენც მათთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული გავალთ თუ კი ეს საჭირო შეიქნება, ბრძოლის ველზე.

ქართული წითელი ლაშქარი შესძლებს მტრის წინაამდეგ ბრძოლას და ამ მოვალეობის ასრულებაში ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ერთად. ქართულ დივიზიას შეიძლება ხვდეს წილად მონაწილეობის მიღება იმ მუშაობაში და ბრძოლებში, რომლის შედეგი იქნება წითელი დროშის აფრიალება მთელს მსოფლიოში.

(მხურვალე ტაში).

შემდეგ მოხსენებას სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ აკეთებს

### ამხ. მიქაძე.

წარსულთან შედარებით ჩვენ მუშაობას ეხლა უფრო მეტი გეგმიური ხასიათი აქვს. მომავალ მუშაობაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ პარტიის მე XIV ყრილობის დადგენილებებს.

ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას აქვს ადგილი ჩვენ სინამდვილეში, ეს არის თან დათანობითი ზრდა წითელ არმიელთა აქტივობისა, რაც სააგიტაციო-საპროპაგანდო დარგში ყველა მომუშავეთაგან მოითხოვს უფრო მეტ მომზადებას. თვითგანვითარების საქმეს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელიც ჩვენთან წარსულში მოიკოჭლებდა და თვითგანვითარების ბიურომ ვერ დააყენა თავის მუშაობა სასურველ ნიადაგზე. ყოველივე ამას მომავალ მუშაობაში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ეს მოგვცემს ჩვენ საშვალებას ავამაღლოთ ჩვენი მომუშავეთა პოლიტიკური ცოდნის დონე.

პარტსაგანმანათლებლო მუშაობაში ჩვენ კიდევ ნაკლი გვაქვს. პარტგანათლების დარგში მომუშავეებმა კარგად უნდა იცოდნენ თავიანთი აუდიტორია და სათანადოთ უნდა ქონდეთ შესწავლილი. ამას აქამდის არ ექცეოდა საკმაო ყურადღება.

შემდეგში საჭიროა მეტად მომზადებულად გამოსვლა. პარტგანათლების საქმეს უნდა მიექცეს ყურადღება მასალების შერჩევის და დამზადების მხრივაც. ერთ-ერთ მეცადინეობაზე, სადაც მე დავესწარი ხელმძღვანელი უფრო წვრილმან საკითხებს ეხებოდა. ყოველივე ეს უნდა გამოსწორდეს შემდეგში.

შემდეგ გადავალ წ. კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციაზე. დიდი მუშაობა მოუნდა ამისათვის საჭირო ანბანის გამომუშავებას, მართლა დაიგვიანა მისმა გამოშვებამ. ეხლა ანბანი უკვე გამოცემულია, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს მუშაობაში.

სააგიტაციო საპროპაგანდო ნაწილმა დიდი მონაწილეობა მიიღო კომუჯრედის მდივნების სემინარების ჩატარებაშიც.

დიდი მუშაობა დგას ჩვენ წინ მეთაურთა შემადგენლობის პოლიტმომზადების საქმის მოსაგვარებლად, ბრძანება № 1515 თანახმად. საჭიროა ნაწილების მომუშავეებმა არ მიივიწყონ ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი ჩვენ პოლიტიკურ მუშაობისა.

### სკოლის გარეშე მუშაობა.

შედარებით წარსულ წელთან უფრო წინ წაიწია სკოლის გარეშე მუშაობამ. განსაკუთრებით გამოცოცხლდა მუშაობა ლენკუთხეებში. ამ დარგში მომავალი ამოცანა იქნება კლუბის მართველობის წევრების ფუნქციების თანასწორი განაწილება, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს ხელმძღვანელობა ლენკუთხეების მუშაობაზე. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წრის ხელმძღვანელთა შერჩევის საქმეს.

სამხკორთა მუშაობამ წარსულ წელთან შედარებით კიდევ უფრო წინ წაიწია, აღებულია მუშაობის სწორი ხაზი. წითელ-არმიელების გრძელვადიან შვებულებაში გაშვების დროს ამით ჩვენ მივცემთ სოფელს მომზადებულ კორესპონდენტთა ახალ კადრს, რომლებიც იქ გააგრძელებენ მუშაობას.

ჩვენი ბიბლიოთეკა ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას ლიტერატურით თავის დროზე მომარაგების საქმეში და სარეკომენდაციო სიების შედგენაში.

თვითმოქმედ ორგანიზაციებს შორის ჩვენ სინამდვილეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს „წერკუმსი"-ს მუშაობას, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს პარტკონფერენციამ და ეს აღნიშნოს თავის რეზოლიუციებში.

დღემდე მოისუსტებს კავშირი სკოლის მომუშავეებისა სამოქალაქო ორგანიზაციებთან. შემდეგში კლუბის ჭუფროსებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ სამოქალაქო კლუბებთან და ხელოვნების კავშირთან.

ქალთა შორის მუშაობის დარგში ცოტა რამ არის გაკეთებული, რაც აიხსნება გამოცდილების უქონლობით. პარტკონფერენციამ უნდა გამონახოს საშვალებანი, რომ ეს მუშაობაც ჩვენ წავწიოთ წინ და დავაყენოთ ისე, როგორც ჩვენ გვაქვს დაყენებული პოლიტიკურ მუშაობის დანარჩენი დარგებიც.

(ტაში).

მომხსენებლის მიერ მრავალ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ იხსნება კამათი აგიტპროპ-მუშაობის მომავალ ამოცანებზე.

კამათში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი ამხანაგები: კოხრეიძე, ქალიაშვილი, სვანიძე, გოგიტიშვილი, სიხარულიძე, წულუკიძე, ზაუტაშვილი [illegible]გვია, ეძგვერაძე და ახობაძე, რომლებიც მიუთითებენ იმ ნაკლზე, რომელსაც ადგილი აქვს ნაწილებში სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობის დარგებში.

კამათის დასასრულის შემდეგ საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. მიქაძე, რომელიც გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ადგილებზე ამ დარგის მუშაობას. თავისი მხრით ამხ. მიქაძე აღუთქვამს ნაწილებს, აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კონფერენციამ დაადასტურა თეზისები, რომელიც წარმოდგენილი იყო პოლიტ-განყოფილების სააგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილისაგან.

ი. რ.

# სამხედრო საქმე.

## რა არის ხელოვნური დაბრკოლება და რა მიზნით კეთდება ის.

ხშირად ზოგიერთ ადგილზე განგებ სტოვებენ მცირე ძალებს, რომლებსაც უხდებათ თავდაცვის წარმოება. ეს იმიტომ, რომ გაათავისუფლონ რაც შეიძლება მეტი ძალები მთავარი დაკვრის მოსაწყობად (მანევრი). ჩვენი ამოცანაა თავდაცვის დროს რაც შეიძლება მეტი ხანი შევაფერხოთ და შევაჩეროთ ძლიერი მტერი, რათა მოვიგოთ დრო მანევრის საწარმოებლად, ცხადია, რომ ადგილი, რომელზედაც სწარმოებს თავდაცვა, უნდა იყოს ჩვენთვის ხელსაყრელი და მტრისათვის საზარალო. მაგალითად დაკავებულ უნდა იქნას მაღლობები, მდინარეები, ხევები და სხვა, რათა მტერს გაუჭირდეს ამ დაბრკოლებათა დაძლევა და დიდი დრო დასჭირდეს, რათა მეტ ხანს დარჩეს ჩვენი ცეცხლის არეში. ასეთ შემთხვევაში მტერს დიდი ზარალი ადგება, ეცემა სულით და, ერთი სიტყვით, ჰკარგავს ძალას. ხოლო როცა ის ასეთ მერყევ მდგომარეობაშია, მოგერიებაზე მყოფი ძალები გადადიან კონტრიერიშზე და მუსრავენ მტერს. მაგრამ ადგილმდებარეობა ყოველთვის საიმედო არაა. ბოლოს და ბოლოს ყოველი ადგილმდებარეობის დაძლევა შესაძლებელია. ამისათვის აგებენ ხელოვნურ დაბრკოლებებს: მავთულხლართებს, მგლის ორმოებს და სხვა.

უკანასკნელ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომში დაბრკოლებებს აკეთებდენ განსაკუთრებით მავთულებისაგან. დაბრკოლებებს პირველ რიგში ამზადებენ მთავარ წინააღმდეგობის ზოლის წინ 150—200 მეტრზე მოშორებით. ეს იმიტომ, რომ მტრის არტილერიამ დაბრკოლებათა დანგრევის დროს არ დააზიანოს ჩვენი მეომრები.

მაგრამ ის დაბრკოლებანი, რომლებიც შეიძლება კარგად შენიღბულ იქნან, უნდა კეთდებოდეს არა უახლოეს 35—40 მეტრისა, რათა მტერს გაუჭირდეს შემჩნევა და არ დაუშინოს გრანატები.

ხელოვნური დაბრკოლებანი უნდა იმყოფებოდეს ნამდვილი შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის მანძილზე. დაბრკოლების გადალახვა ძნელია. უნდა დაანგრიო ის. არტილერიას ეს ყოველთვის არ შეუძლია. იერიშზე გადასულ მეომრებმა უნდა გასჭრან მავთული. ამისათვის საჭიროა დრო. ხოლო ყოველი წუთი ძვირფასია ასეთ დროს. როცა შეტევაზე გადასული ძალები უნდა ეკვეთონ ხიშტით, მისი რიგები ამ დროს უკვე შეთხელებულია. ხშირად მტერი მავთულხლართთან მოსვლამდი სასტიკად იღლება და უკანვე ბრუნდება.

დაბრკოლებათა დიდი მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ მტერს არ შეუძლია თავისუფლად მიუახლოვდეს მოპირდაპირეს.

რომ მტრის მოახლოება გაიგონ, განსაკუთრებით ღამით, მავთულებზე ჩამოჰკიდებენ კონსერვების კოლოფებს ან ვაზნების ცარიელ ყუთებს. ასეთი ყუთები ჟღარუნით გაამჟღავნებენ მტრის მოსვლას მავთულხლართზე.

ამრიგად ხელოვნური დაბრკოლება აიძულებს მტერს დიდი ენერგია დახარჯოს მათ დასაძლევად და ამის გამო მისი შემოტევა ხშირად დამარცხებით თავდება.

ჰ.

## ხშირად ჩაიხედე სასროლო წესდებაში.

ზოგიერთ ჩვენს ნაწილებში შედგენილია საუკეთესო მსროლელთა ჯგუფები. მარჯვე სროლა აუცილებელია არმიისათვის. ყველასათვის ცხადია, რომ მარჯვე მსროლელები ბრძოლის დროს არ დამარცხდებიან. ისინი თავის დროზე შემუსრავენ მტრის კავშირის მეომარს ან ვაზნების მიმწოდებელს და სხვა.

ყოველივე ეს საგრძნობლად შეასუსტებს მტრის ძალას და დააჩქარებს მის დამარცხებას. გარდა იმისა, რომ მარჯვე მსროლელები ზიანს აყენებენ მტერს, ისინი მარჯვე ცეცხლის წარმოებით იცავენ თავსა და ამხანაგებს მტრის ტყვიებისაგან და დაზოგვით ხარჯავენ ვაზნებს. მე მაგონდება ერთი შემთხვევა სამოქალაქო ომიდან. ჩვენი ლეგიონი გაგზავნილ იქნა გოგჩის ტბის რაიონში (სომხეთში) დაშნაკელების ბანდების დასამარცხებლად. გაჩაღდა ბრძოლა, ერთ ჩვენს ასეულს ბრძანება ჰქონდა დაეკავებია მაღლობი. წელამდი თოვლი იყო. მეომრები შეუდგენ მთაზე ასვლას. 200-300 ნაბიჯის მანძილიდან მწვერვალზედ ჩვენ დავინახეთ ერთი კაცი დაშნაკელების მხრივ. ჩვენი იარაღის გამგე საუკეთესო მსროლელი იყო. მან დაუმიზნა შაშხანა და ერთი სროლით გააგორა დაშნაკი. გამოირკვა, რომ ეს იყო მთელი ჯგუფის მეთაური (მღვდელი ყარსის ოლქიდან, რაც აღმოჩნდა მისი საბუთებიდან). მეთაურის მოკვლისთანავე ჯგუფი დაიფანტა. ჩვენ ისინი ტყვედ ჩავიგდეთ.

აი რას ნიშნავს ერთი მარჯვე გასროლა.

ამ ჟამად ყველა ნაწილებში გადიან დაწყებითი სროლას და მალე პრაქტიკული სროლაც დაიწყება. თვითეული მეომარი უნდა სცდილობდეს, რომ არც ერთი ტყვია არ უნდა დაჰკარგოს ტყვილა-უბრალოდ, ხოლო ამისათვის საჭიროა გაიხსენონ ყველაფერი, რაც კი გაუვლიათ: თოფის სასროლად გამზადება, დამიზნება, ფეხის წესიერად გამოშლა და გაითვალისწინონ გავლენები ტყვიის მიმართულებაზე როგორიცაა: შაშხანის მ ო ხ ვ ე დ რ ი ს თავისებურება, ქარი, ამინდის სითბოსიცივე, დერივაცია, რისთვისაც საჭირო იქნება სასროლო წესდების განმეორება.

ი. ბ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ბრძანება № 25

### პირველ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილებისადმი.

პოლიტგანყოფილებისადმი ბრძანებით № 171 § 1 წ/წ. „31" ოქტომბრის თარიღით ჩემდამი რწმუნებული დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის სამხედრო კომისარი ამხ. სერგო ჯავახოვი თავის სურვილით იქნა განთავისუფლებული ხსენებული თანამდებობიდან, მეორე ქ. მ. დივიზიის პოლიტგანყოფილებაში მივლინებით, რომელიც ხსენებულ პოლიტგანყოფილებაში იქნა დანიშნული ინსტრუქტორის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია ამხ. სერგო ჯავახოვის ენერგიული მუშაობა 1-ლ ქ. მ. დივიზიაში ყოფნის დროს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: მან ჯერ კიდევ საინჟინერო ათასეულის პოლიტიკურ-ხელმძღვანელად და შემდეგ კი ხსენებულ ასეულში სამხედრო კომისრად ყოფნის დროს, მთელი თავისი დაუღალავი შრომით და ინიციატივობით შექმნა სამაგალითო ასეული. საკითხისადმი კარგად მიდგომით მან, როგორც თავის ნაწილის უფროსთა და წითელარმიელთა და ისე მთელი დივიზიის შემადგენლობაში, დაიმსახურა პოლიტიკური პატიოსანი მუშაკის სახელწოდება და ავტორიტეტი.

ამხ. სერგო ჯავახოვის 1-ლ ქ. დივიზიაში 4 წლის განმავლობაში ენერგიული და დაუღალავი წარმოებულ მუშაობის გამო, 1-ლ ქართულ მ. დივიზიის პოლიტიკური განყოფილება უცხადებს მას ამხანაგურ მადლობას და უსურვებს, რომ მომავალში უფრო მეტი ენერგიით და დაუღალავი შრომით მოეტანოს უფრო მეტი სარგებლობა და ნაყოფი წითელარმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

1-ლი ქ. მ. დივიზ. პოლიტგანყოფილების უფროსი

ა. კვირიკაძე.

## შეჯიბრი სროლაში.

კვირას 31 იანვარს ვაკეში შესდგა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების, სამოქალაქო ორგანიზაციების და პარტორგანიზაციების წარმომადგენელთა შეჯიბრი სროლაში.



ნიშანთან სდგას ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. სვანიძე, რომელიც სამოქალაქო პირებიდან ერთი საუკეთესო მსროლელი გამოდგა.

მყუდრო დილა. მოღრუბლულია. 12 საათისთვის ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. ამოვარდა ძლიერი ქარი, რომელიც მეტად უშლიდა ხელს სროლის წარმოებას.

სროლა სწარმოებდა 200—600 ნაბიჯზე—5 ნიშანზე. სროლაში მონაწილეობას ღებულობდენ ამხ. ამხ. გიორგაძე,



არკვევენ სროლის შედეგებს ნიშანთან. სდგანან მარცხნივ ამხ. გიორგაძე, მარჯვნივ ამხ. აბაშიძე, ზალუცკი, გედევანიშვილი და სხვები.

აბაშიძე, ზალუცკი, თბილისის კომიტეტის მდივანი სვანიძე და სხვა ამხანაგები. სამოქალაქო პირებიდან ერთი საუკეთესო მსროლელი გამოდგა ამხ. სვანიძე, ხოლო სამხედროებიდან კი ამხ. გიორგაძე.

სროლა უნდა გაგრძელებულიყო 4—6 საათამდე, მაგრამ ქარის თანდათან გაძლიერების გამო იძულებული შეიქნენ შეეწყვიტათ. ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ აქცევდა ნიშნებს და მსროლელები ვეღარ ახერხებდენ თვალის გახელასაც კი. შეჯიბრის შედეგები ამის გამო გამოურკვეველი დარჩა.

საბოლოო შეჯიბრი განზრახულია მოეწყოს 7-დი თებერვლისათვის.

გ. ლინგი.

## როგორ ვმეცადინეობთ ლენინის კუთხეში.

### სამხედრო—გაერთიანებული სკოლა.

ჩვენს ასეულში კარგა ხანია, რაც გაცხოველდა კულტურულ—პოლიტიკური, სამხედრო ხასიათის და სხვა მუშაობა. ეს მუშაობა უმთავრესად ლენინის კუთხეში სწარმოებს, ლენინის კუთხე მისი ცენტრი. ლენინის კუთხეში არსებობს შემდეგი განყოფილებები: სამხედრო კუთხე, კომკავშირის, რემედიის, და სხვა. ყველა მათზე მიმაგრებულია სათანადოთ მომზადებული ამხანაგები და მუყაითად მუშაობენ. ყოველ ორშაბათობით რიგ—რიგობით ეწყობა საუბრები. საუბრების ჩამატერებლები ერთგვარ შეჯიბრსაც ახდენენ. თითეული მათგანი სცდილობს რაც შეიძლება კარგად მოემზადოს შემდეგი ორშაბათისათვის და არ ჩამოარჩეს თავის ამხანაგს. ყოველი მოხსენება—საუბრის შემდეგ იმართება კამათი, რომელშიდაც ყველა კურსანტები ღებულობენ მონაწილეობას.

არა ნაკლებ საინტერესოა ის, თუ როგორ ეწყობა საუბარი კუთხეში: კურსანტები იყოფიან ორ ჯგუფად. ირჩევენ მსაჯულებად 4—6 ამხანაგს. შეკითხვას აძლევს პირველი ჯგუფი მეორეს, მეორე პირველს. თუ ვინმე შესცდა პასუხში, მსაჯულები მას უსჯიან სასჯელს, რომელიც უმთავრესად შემდეგი სახისაა: ცეკვა, სიმღერა, დაყლოყინება და სხვა. შეკითხვები შეეხება პოლიტიკურ და სამხედრო დარგს.

ასე ვსწავლობთ და ვემზადებით მომავალი მუშაობისათვის.

კურსანტი ხახუაძე.

## ჩვენი სკოლის საქმიანობა.

### მე 5-თე ლეგიონი.

დიდი ხანი არ არის რაც დავიწყეთ სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც საკმაო მიღწევები არის ჩვენს მეცადინეობაში.

ამ გარემოებას ერთის მხრივ ხელს უწყობს ის, რომ ჩვენ სკოლაში ისეთი კურსანტი არ არის, რომელმაც საკმაოდ არ იცოდეს წერა-კითხვა. მეორე—უფშემადგენლობაც დაინტერესებულია ჩვენი აღზრდით და მტკიცე დისციპლინის განმტკიცებით. მთავარი ყურადღება ექცევა სამხედრო მეცადინეობას. თეორიული კურსი თითქმის გავლილი გვაქვს, მხოლოდ მომავალი საზაფხულო პრაქტიკული მეცადინეობისათვისაც სათანადოთ ვემზადებით.

ყოველ შაბათს ხდება განვლილის განმეორება გამოცდების სახით. განმეორებისათვის სკოლაში შემოღებული იქნა ლატარია, რომლის საშვალებითაც უფრო გვიადვილდება განვლილის გამეორება.

კვირაში ორჯერ თვით კურსანტები ერთი მეორეს უშვრებიან გამოცდას კოლექტიურად.

რაც შეეხება პოლიტიკურ ცოდნას, აქაც ჩვენი სკოლის შემადგენლობა დაყოფილია ოთხ ჯგუფად, რომელშიდაც ტარდება სისტემატიური მეცადინეობა იმისდა მიხედვით თუ რომელ წრეში როგორი შემადგენლობაა.

მ. ჭყონია.

## ჩვენც გვინდა სამხედრო-პოლიტიკური სწავლება.

### 1-ლი საკავშირო ასეული.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულში დაარსდა უნცროს მეთაურთა სკოლა, რომელშიდაც თითქმის მთელი ახალგაზრდა წითელ არმიელები გადაიყვნეს.

ასეულში დარჩა ძველი წითელ არმიელების ძალიან მცირე რიცხვი, რომლებიც ყოველ დღე გადიან განწესებაში და მოკლებული არიან ყოველ გვარ მეცადინეობას. საკავშირო ასეულის, როგორც სპეციალური ნაწილის წითელ არმიელებს საშვალება უნდა ჰქონდეთ შეისწავლონ კავშირის და სამხედრო საქმე.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, როგორც ასეულის მეთაურმა ისე სამხედრო კომისარმაც და მონახონ საშვალება, რომ არ დარჩენ წით. არმიელები პოლიტიკურ, საერთო და სპეციალურ ცოდნის გარეშე.

სამხკორი ვინ—მ.ნი.

## რას ვაკეთებთ.

### 1-ლი ლეგიონის 8-ე ასეული.

ასეულში დიდი ნაყოფიერებით მიმდინარეობს სამხედრო და პოლიტიკური სწავლების საქმე. წითელ არმიელები კარგად ითვისებენ ყველაფერს.

გარდა სავალდებულოსი, ასეულში სწარმოებს აგრეთვე მსურველების მეცადინეობა ზედმეტ საათებში, ამნაირად ბევრი ამხანაგები ძლიერ დაინტერესებული არიან სამხედრო და პოლიტიკური საქმით.

ასეულში შესდგა აგრეთვე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მოყვარულთა ჯგუფი.

ლენინის კუთხეში ყოველდღე ტარდება ხმამაღალი კითხვა, კითხვა-პასუხი და სხვა.

ასე ვმეცადინეობთ და ვმუშაობთ ჩვენს ასეულში.

წით. არმ. ე—ლი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ბიურო-კოლექტივის მუშაობა.

**2-რე ლეგიონი.**

ლეგიონში ამ ჟამად არსებობს სულ 11 კომუჯრედი და 11-ც ახკომკავშირის ჯგუფი. ბიურო-კოლექტივი კარგ ხელმძღვანელობას უწევს მათ. აქამდე მართალია ცოტა მოიკოჭლებდა ახკომკავშირზე ხელმძღვანელობა, მაგრამ ამ უკანასკნელად შესაფერი ყურადღება მიექცა მასაც. ბიუროს გამოყოფილი ყავს კავშირში მუშაობისათვის შესაფერი ხელმძღვანელი.

კრებები ტარდება სისტემატიურად. მუშაობაში მთელი პარტიული შემადგენლობაა ჩაბმული. კრებებზე ყველა ესწრება. თუ ამასწინად ადგილი ჰქონდა კრებებზე დაუსწრებლობით დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს ეხლა არ არის ამის არცერთი შემთხვევა.

საჭიროა მხოლოდ კრებების დროს შემოკლება, რომ უფრო ცოცხლად იქნეს განხილული ყველა საკითხები. ამას აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს ბიურო კოლექტივმა.

სამხკორი ეკნარი.

## უჯრედის ავტორიტეტი დიდია უპარტიოთა შორის.

**ცალკე ცხენოსანი ესკადრონი.**

ესკადრონში დაახლოებით სამი თვეა, რაც დაარსებული იქნა კომუჯრედი. მთელი ამ ხნის განმავლობაში უჯრედს არ შეუჩერებია მუშაობა და სისტემატიურად განაგრძობდა მას. ამ ხნის განმავლობაში სულ შესდგა კომუჯრედის ექვსი სხდომა. სამი დახურული და სამიც ღია. ღია კრებებზე ბლომად ესწრებოდენ უპარტიო წითელი არმიელები, და ეცნობოდენ პარტიულ ცხოვრებასა და მუშაობას.

ამიტომ არის რომ კომუჯრედში მრავალ წითელ არმიელებს აქვთ განცხადებები შემოტანილი პარტიაში მისაღებად.

ესკადრონში დაარსებულია აგრეთვე პარტსკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუჯრედის მიერ გამოყოფილი მომზადებული ამხანაგი. სკოლაში მეცადინეობას წითელ არმიელების გარდა ესწრებიან აგრეთვე კოლოფის ქარხნის მუშები. უმთავრესად გავდივართ პარტიის ისტორიას და პარტიული მუშაობის მეთოდებს.

წ. არმ. ვათიაშვილი.

## დავაარსეთ სამხედრო-სამეცნიერო წრე.

**ქართულ მეთაურთა სკოლა.**

მეთაურთა სამხედრო სკოლის საარტილერიო და ცხენოსან განყოფილებაში დაარსდა სამხედრო-სამეცნიერო წრე. ამ მიზნით 28 იანვარს მოწვეულ იქნა ღია კრება, რომელზედაც ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ქარუმიძემ. მან დაახასიათა თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ წრეს ჩვენში, როდესაც სამხედრო ტეხნიკა თანდათან წინ მიდის და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ბურჟუაზიული სახელმწიფოები გვარტყია ირგვლივ.

ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ და განვავითაროთ ჩვენი ძალებიცო.

შემდეგ კრებას გააცნო ამხ. ლესელიძემ თუ როგორია ჯარის ორგანიზაცია ევროპის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით არტილერიის დარგში. დასასრულ მოხდა წრეში წევრების ჩაწერა და განაწილებულ იქნა თემები მეთაურებსა და კურსანტებს შორის.

წრეში ჩაბმული იქნა თითქმის განყოფილებების უმეტესობა.

სამხკორი კვირკველია.

## მოსპეთ ნაკლოვანებანი.

**გაათბეთ კლუბი.**

**2-რე ლეგიონი.**

ლეგიონში საუცხოვო კლუბი გვაქვს, სადაც ყველაფერი მოიპოვება: ლიტერატურა, ახალი ჟურნალ-გაზეთები და მრავალი სხვა გასართობები. მიუხედავად ამისა, კლუბში მაინც ვერ დავდივართ და ვერ ვიყენებთ თავისუფალ დროს, რადგან იქ მეტის-მეტად ცივა. შენობას არ ათბობენ. თუ ასე გაგრძელდა ამ ზამთრის განმავლობაში იქ არავერი გაკეთდება. საჭიროა მიიღონ ზომები და გაათბონ კლუბი.

სამხკორი ვ. ლ.

**მოგვეცით საათი.**

**2-რე ლეგიონი.**

ლეგიონში ყოველგვარი მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს, მაგრამ დროის შესაფერად განაწილებაში მაინც გვიშლის ხელს ის გარემოება, რომ არა გვაქვს საათი. დღიურები და გუშაგები ვერ იცვლებიან თავის დროზე. ასევე ხდება ადგომისას. ზოგჯერ შაულამეზე წამოგვყრიან და ზოგჯერ ძლიერ გვაგვიანდება. მოგვეცით ერთი საათი და ამით მოსპეთ არსებული უკმაყოფილება.

წ. არმ. ი. კვარაცხელია.

**საჭიროა თარჯიმანი.**

**1-ლი არტლეგიონი.**

30 იანვარს ლეგიონის კლუბში ნაჩვენები იქნა კინოსურათები, მაგრამ სამწუხაროდ სურათებს წარწერები რუსულად ჰქონდა და წითელ არმიელების უმრავლესობამ ვერაფერი გაიგო. ამის გამო ბევრმა დასტოვა თეატრი.

საჭიროა შემდეგში მაინც ყურადღება მიექცეოდეს ამ გარემოებას და დანიშნავდენ თარჯიმანს, რომელიც ხმამაღლა გადათარგმნით გააგებინებს წითელ არმიელებს სურათების შინაარს. ამას გარდა თეატრში დაიარებიან გარეშე პირები და წითელ არმიელებისათვის ადგილი აღარ რჩება.

სამხკორი არველაძე.

## უცხოეთის არმიებში

**ახალგაზრდობის სკოლის გარეშე სამხედრო მომზადება ესტონეთში.**

სკოლის გარეშე მომზადებას, ესტონეთის სამხედრო ხელმძღვანელების აზრით, უფრო სერიოზული მნიშვნელობა აქვს ვიდრე სკოლაში წარმოებული სამხედრო მზადებას, რადგან პირველთა კონტიგენტი ბევრად უფრო დიდია ვინემ მეორესი. ესტონეთის სინამდვილეში ეს საკითხი სწყდება შემდეგ ნაირად: იმ ახალგაზრდობას, რომლებიც 14—15 წლიდან სტოვებენ სკოლის სკამებს, აშზადებს სამხედრო საქმეში „თავდაცვის ლიგა" რომელიც წარმოადგენს წმინდა სამხედრო ორგანიზაციის ტიპს.

როგორც სკოლებში, ისე სკოლის გარეშე ახალგაზრდათა სამხედრო მომზადება ისახავს სამ ძირითად ამოცანას: ახალგაზრდათა მორალური მომზადება და სრულიად საიმედო მტკიცე მოქალაქეების გამომუშავება მათგან; ახალგაზრდობის ფიზიკური და სამხედრო აღზრდა.

ყველა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც გადიან „თავდაცვის ლიგასთან" არსებულ სამხედრო მომზადების კურსს, ეძლევათ შესაფერი მოწმობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუდმივ სამხედრო სამსახურის გავლის დროს, რადგან ის ამოკლებს ან აგრძელებს მას, მოწმობის და მიხედვით.

კარგი მოწმობის მიღება წინასწარ სამხედრო მომზადების დასრულების დროს დიდ ინტერეს იწვევს ახალგაზრდობაში და ამიტომ ისინი თავიდანვე ცდილობენ მეცადინეობის დროს გამოიჩინონ შესაფერი მუყაითობა და მეტი ცოდნაც შეიძინონ.

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 8.**

A და B მ ხტუნვით უნდა გაიარონ 100 ფუტი მანძილი. ხტუნვა შეიძლება პირობით არა ნაკლები 2 ფუტისა და არა უმეტეს 9 ფუტ. მოგებული რჩება ის, რომელიც აიძულებს მოწინააღმდეგეს დახტეს 100 ფუტზე ან გადასცილდეს მას. რომელი მოთამაშეთაგანი დარჩება მოგებული?

## პასუხი შეკითხვებზე.

**კვაჭაძეს.** პოლიტსკოლაში მიღება იწყება აგვისტოდან. მიეცით განცხადება თქვენს უფროსს, რომ კანდიდატათ ჩაგრიცხონ.

**მანჯგალაძეს.** დადებულ ვადის შემდეგ ტანსაცმელი მოხალისესსაკუთრებად გადადის. უვადო შვებულებაში წასვლის დროს მას არ ჩამოერთმევა ის.

**№-ს.** კბილების წამლობა სწარმოებს უფასოდ გარნიზონის ამბულატორიაში.

**მერა—შვილს.** მიეცით განცხადება თქვენი საქმის შესახებ სამაზრო აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილებას.

**უ'უპს.** თუ ბაღის პატრონმა ხელშეკრულება დაარღვია შეგიძლიათ მიმართოთ საჩივრით სახალხო სასამართლოს.

**და—ძეს.** ამ ჟამად ოჯახური მდგომარეობა არ განთავისუფლებთ სამხედრო სამსახურიდან. უნდა იმსახუროთ ორი წელი.

**ბურძეს.** უფასოთ კბილებს ჩაგისვამენ, თუ გაკლიათ არა ნაკლებ რვა კბილისა.

**მო—ძეს.** ითვლებით უბილეთო მგზავრად. კანონიერი იყო რომ გადაგახდევინეს ბილეთის ფასი.

**ვ. ა.** საჯარიმო გუნდში გატარებული დროის ჯამაგირი არ გერგებათ.

**მესხს.** მიმართეთ თქვენ უფროსს.

**თევ—ძეს.** იმსახურებთ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად ორ წელიწადს.

**ვ—ლს.** მიმართეთ ტერსამართველოში საატესტაციო კომისიას.

**ხეობელს.** თქვენ, როგორც გაგითავებიათ მწერლის კურსები, ამიტომ უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი.

**ბურჯს.** ჯამაგირი მოგეცემათ თანამდებობის მიხედვით.

**სპიროს.** მიმართეთ თქვენს კომუჯრედს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე დივიზიის სანიტარული ნაწილის საქმის მწარმოებელს (იგივე უფროსი ექიმის თანაშემწე) ამხ. ანდრო პავლეს-ძე მანჯგალაძეს (ქუთაისის მაზრის ს. ლანჩის მცხოვრები) კომპარტიის (ბ) კანდიდატათ მიღების შესახებ.

კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით ამხ. მანჯგალაძის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი 1-ლ ქ. მ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუჯრედის მდივანს გრ. გაბისონ ას.


## რა ღირს „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


## აღმოსავლეთის შესწავლა კლუბებში.

ჩინეთის ამბები თანდათან იპყრობენ წითელ არმიელთ ყურადღებას. მთელი წითელი არმიელთა მასა დაინტერესებულია კერძოდ ჩინეთის და საერთოდ აღმოსავლეთით და ადევნებს თვალყურს მის ამბებს. საჭიროა, რომ ეს ინტერესი ჩვენ გამოვიყენოთ და გავაცნოთ წითელი არმიელები აღმოსავლეთს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი კლუბები თითქოს გაურბიან აღმოსავლეთს. ვერც ერთ ლენინის კუთხეებში ვერ შეხვდებით, რომელშიაც მოიძებნებოდეს რაიმე მასალა, დამახასიათებელი ჩინეთის ამბების. არც ერთ დრამწრეს არ დაუმზადებია პიესა ან ინცენიროვკა, რომელშიაც გამოხატულ ყოფილიყოს აღმოსავლეთის ყოფა-ცხოვრება ან მიმდინარე ამბები. საერთოდ კლუბს არ გადაუდგამს ნაბიჯი აღმოსავლეთის გასაცნობად—შესასწავლად.

დღეს გვაქვს შესაძლებლობა გამოვასწოროდ ეს ნაკლი ვისარგებლოთ წითელ-არმიელთა დაინტერესებებით აღმოსავლეთით და მის შესასწავლად გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები.

რა უნდა გააკეთოს კლუბმა ამ დარგში?

დაწყებითი მუშაობაში ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყენოთ ყველა არსებული პირობები. სასურველი იქნება მოწყობა კომბინიურ საღამოსი. ფართედ უნდა გვქონდეს გამოყენებული საცნობო მუშაობა, რომლის საშვალებით ჩვენ გავაცნობთ წითელ არმიელებს აღმოსავლეთის სახელმწიფოების წარსულს, დღევანდელ მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, კაპიტალისტურ ევროპასთან.

კლუბებში უეჭველად უნდა და შეიძინონ აღმოსავლეთის რუქები, რომლებიც დღესდღეობით ნაკლებად მოიძებნებიან ნაწილებში.

უნდა გაკეთდეს მხატვრული პლაკატი ჩინეთის ამბების ირგვლივ; ამისათვის მასალები მოიძებნებიან ჟურნალ-გაზეთებში.

მასიურ მუშაობისთვის უნდა გამოვიყენოთ მოხსენებები და საღამოები. პიესები და ინსცინიროვკები არ მოგვეძებნება. საჭიროა თვით კლუბებმა იზრუნონ სათანადო ინსცენიროვკების შესაქმნელად.

მუშაობას აღმოსავლეთთან გასაცნობად არა აქვს დაკვრითი, მოკლევადიანი ხასიათი. ამიტომ ყოველ კლუბის მუშას აქვს დრო შეიმუშაოს სათანადო გეგმა ამ დარგში და მთელი მუშაობა ჩაატაროსმიზან შეწონილად.

გ. ხუციშვილი